განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება)*

**პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება**

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *ნინო ავსაჯანიშვილი*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *სოფიო გოცირიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *თამარ ჭონიშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *ბაია აბაშიძე*

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 438109477 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საქართველო, საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N15 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ჩაილური |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |

### 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |

### 4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელში - ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ვიზიტის შესახებ ,2026 წლის 12 მარტის ბრძანება No301587, 2026 წლის 20 მარტის ცვლილებით (MES 6 26 0000336335) |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 5-6 აპრილი, 2026 წელი |

### 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

### 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | 1. ადრეული განათლების კურიკულუმი - თამაში;<br>2. სასკოლო მზაობის პროგრამა - თამაში. | ქართული | | **40**<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☒<br>**28** |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2026 წლის 5-6 აპრილს ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების, პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. ვიზიტის პროცესი იყო საქმიანი, მშვიდი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. თანამშრომლები ჩართული იყვნენ ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდებისა თუ ინტერვიუირების პროცესში. დაწესებულებაში მოისმინეს ექსპერტთა პირველადი შეფასებები და აღნიშნეს, რომ ვიზიტის პროცესში დასმული შეკითხვებისა თუ საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის პროცესში, კიდევ უფრო მკაფიოდ გაიაზრეს არსებული გამოწვევები და საჭიროებები. სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების I, II, III და IV სტანდარტში არ დაემთხვა ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შეფასება. ვიზიტის დასასრულს აღნიშნეს, რომ არიან მოტივირებულები და უფრო ნათლად, გააზრებულად ხედავენ თითოეულ პროცესს, რაც დაწესებულების განვითარებაზე პოზიტიურად აისახება.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც  დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს  (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი/კომპონენტი** | **დაწესებულების თვითშეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
| **ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]**<br>*(პროგრამის სახე)*<br>**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა**<br>**კურიკულუმის დასახელება**<br>**1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში".**<br>**2) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში".** | | |
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება** |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | **☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☒ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება | ☐ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი


1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია.
მისია შემდეგნაირად ჟღერს: *„შევქმნათ უსაფრთხო, ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც თამაშზე დაფუძნებული სწავლებით, ოჯახთან და თემთან პარტნიორობით, ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა მრავალმხრივ განვითარებას და სკოლისათვის მზაობას."*

*წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, ასევე გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.“*

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ წარმოადგინა ხედვა და ღირებულებები, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან.

ხედვა შემდეგნაირად ჟღერს: *„მომავალი ხუთი წლის მანძილზე შექმნას უნივერსალური ინკლუზიური გარემო, აღჭურვილი მრავალფეროვანი რესურსით, სათანადოდ გადამზადებული კვალიფიციური პერსონალით.“*

დაწესებულების ღირებულებებია - *„პოზიტიური, გუნდური თანამშრომლობა, მხარდამჭერი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, მაღალკვალიფიციური აღმზრდელ-პედაგოგების მეშვეობით შექმნილი საინტერესო გარემო, სადაც გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის უნიკალური ძლიერი მხარეები, ინტერესები და ყველა გრძნობს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად.“*

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების პროცესი ასახულია დოკუმენტში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი", რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით - N ბ58. 5226030001 (30.01.2026). დოკუმენტში განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და შექმნის წესი, ასევე დაკონკრეტებულია სამუშაო ჯგუფის პოტენციური წევრები პოზიციების მითითებით (მუხლი N7-8). აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში განმარტებულია ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ვალდებულება (მუხლიN7).

ადგილზე წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებული იყო მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცებამდე 2025 წელს.

***აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები დაწესებულებას შემუშავებული აქვს და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. გაზიარების ამსახველი დოკუმენტაციის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა:

- ოქმი N1 (გ)– 2025 წლის 27 სექტემბერს  პატარა ჩაილურის ბაღის პერსონალთან (ოქმს თან ახლავს დამსწრე პირების ხელმოწერები). აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: 1. მისია, ხედვა და ღირებულებების გაცნობა, 2. მიეწოდათ ინფორმაცია ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესახებ. აღნიშნული დასტურდება ბაღის პერსონალის ხელმოწერებით.

მისია, ხედვა და ღირებულებები  საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება ბაღში საინფორმაციო დაფაზე დოკუმენტაციის გამოკვრით.

***აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მისიის, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი;
2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ - ბრძ. - N ბ58. 5226030001 (30.01.2026);
3. ოქმი N1(გ)  – მისიის, ხედვისა და ღირებულების გაზიარება ბაღის პერსონალთან (2025 წლის 27 სექტემბერი);
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. ინტერვიუ ბაღების გაერთიანების დირექტორთან და დაწესებულების მენეჯერთან.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

**1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დამტკიცებულია ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 30.01.2026 წლის დირექტორის ბრძანებით- № ბ 58.5226030001. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა თუ მონიტორინგის ერთიან პროცედურებსა და მეთოდოლოგიას. წესში განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმატი.
დოკუმენტში გაწერილია, რომ დაწესებულება ყოველწლიურად მოამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2.5 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის შესახებ დამტკიცებული ბრძანება, რაც დარეგულირებულია ზემოთაღნიშნულ დოკუმენტში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია, 2023 წელს, მანამ სანამ დაწესებულება დაამტკიცებდა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესს და არსებული სტრატეგიული გეგმა ვალიდურია 2028 წლამდე.
***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***
რეკომენდაცია
.............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................
რჩევა
სასურველია, დაწესებულებამ შექმნას სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, გადახედოს არსებულ სტრატეგიულ გეგმას და შეიტანოს ცვლილებები.
.............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 30.06.2023 წელს გამოცემული განკარგულებით: გ-53. 53231812.

სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი (2023-2028). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური. წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, რაც დასტურდება თავსებადი მსხვილი მიზნების შემუშავებით და მინიმუმ სამი ამოცანით. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გეგმა არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ. გაერთიანების წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშა, რომ 2023 წელს გაერთიანებამ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თხოვნით, წერილობით მიმართა (წერილის N 58-522306114 02/03/2023). რადგან არ ვამოწმებთ პრაქტიკას და დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც ახალი მეთოდოლოგია, ასევე 2023 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა (2023-2028) ძველი სტრატეგიული გეგმის ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი სტრატეგიული გეგმის შექმნისას იხელმძღვანელებენ გაერთიანების მიერ დამტკიცებული დოკუმენტით - „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (№ ბ 58.5226030001- დამტკიცების თარიღი 30.01.2026) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ბრძანებაც რელევანტური გახდება ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე.
***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების მიერ დამტკიცებული, ყველა დაწესებულებისთვის საერთო სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული ბრძანებით (12.02.2026 - ბ.58. 5226043001). აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი შესრულების ვადები (ერთ-ერთი აქტივობის ვადად განსაზღვრულია დამტკიცებამდე პერიოდი), ასევე არ იკითხება კონკრეტულ დაწესებულებაში (ბაღების დასახელებებით) დაგეგმილი განსაზღვრული აქტივობები. გარდა ამისა, დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა კონკრეტულად პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც, რომელიც დამტკიცებული იყო ბრძანებით (ბ.58. 5226096001 – 06.04.2026). აღნიშნულ გეგმის ვადები (2025 – 2026 წელი, თუ 2026-2027 წელი) არ იყო აღქმადი, რადგან ბრძანებაშიც და გეგმის თავფურცელზეც მითითებული იყო მხოლოდ 2026 წელი. გარდა ამისა, ბოლო გვერდზე აღნიშნული იყო მონიტორინგისა და დასკვნითი შეფასებების თარიღები 2025-2026 წლის მითითებით. იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის თარიღები წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანების თარიღს, დოკუმენტის ვადების ვალიდურობა ბუნდოვანია.
***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.***

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ბრძანებით დაამტკიცოს პატარა ჩაილურის სკოლამდელი დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეყრდნობა სტრატეგიული განვითარების გეგმასა და დაწესებულების ყოვეწლიურ თვითშეფასებას. გაერთიანების მიერ დამტკიცებული საერთო სამოქმედო გეგმის გამოყენების შემთხვევაში კი, განისაზღვროს და მიეთითოს გაერთიანებაში შემავალ კონკრეტულ დაწესებულებაში დაგეგმილი აქტივობები. ასევე, დაწესებულებამ დოკუმენტში წარმოდგენილი ვადებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესაბამისად განსაზღვროს თარიღები და დაამტკიცოს ბრძანებით.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება ბრძანებით დაამტკიცებს პატარა ჩაილურის სკოლამდელი დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც დაეყრდნობა სტრატეგიულიი განვითარების გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას. საერთო სამოქმედო გეგმის გამოყენების შემთხვევაში, განისაზღვრება კონკრეტული დაწესებულებების აქტივობები. ასევე, დოკუმენტში წარმოდგენილი ვადებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესაბამისად, განსაზღვრავს თარიღებს და დაამტკიცებს მათ ბრანებით.

წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

### 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების მიერ დამტკიცებული, ყველა დაწესებულებისთვის საერთო სამოქმედო გეგმა (12.02.2026 - ბ.58. 5226043001). ასევე, პატარა ჩაილურის დამტკიცებული სამოქმედო გეგმაც. გეგმის შინაარსი სრულიად რელევანტურია და მიესადაგება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, მითითებულია პასუხისმგებელი პირებიც, საჭირო რესურსები და გაზომვადი ინდიკატორებიც. თუმცა, აღრეულია თარიღები და წლები როგორც დოკუმენტისა და დამტკიცების ბრძანების, ასევე დაგეგმილი აქტივობებისა და მონიტორინგისა და დასკვნითი შეფასებების თარიღები.

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.***

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დოკუმენტში წარმოდგენილი ვადებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესაბამისად განსაზღვროს თარიღები და დაამტკიცოს ბრძანებით. თარიღები იყოს ნათელი და ჰქონდეს მითითებული კონკრეტული წლის პერიოდი (პირობითად 2026-2027; 2025-2026 სასწავლო წელი/აკადემიური წელი).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება დოკუმენტში წარმოდგენილი ვადებისა და განსახორციელებლი აქტივობების შესაბამისად, განსაზღვრავს თარიღებს და დაამტკიცებს ბრძანებით. თარიღები იქნება მკაფიოდ განსაზღვრული და მითითებული ექნება კონკრეტული წლის პერიოდი (მაგ. 2026-2027 სასწავლო/აკადემიური წელი). წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დამტკიცებულია ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 30.01.2026 წლის დირექტორის ბრძანებით- № ბ 58.5226030001. დოკუმენტში გაწერილია, რომ დაწესებულება ყოველწლიურად მოამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2.5 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას. პირველადი ავტორიზაციის პირობებში, პრაქტიკის შემოწმების გარეშე, შეფასდა მხოლოდ დამტკიცებული დოკუმენტი და წესი.

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მეთოდოლოგიაში განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და საჯაროობა, რომელიც დარეგულირებულია თავი 5 . „სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითრების პროცესის საკვანძო პრინციპები“ და მუხლი 6. “დოკუმენტების გაზიარება“.
გაერთიანების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის ჩართვას და გაზიარებისათვის გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს:
ა) ელექტრონული ფოსტა; sagarejoskolamdelebi@gmail.com
ბ) სოციალური მედია;
გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ).
ინდიკატორი დარეგულირებულია მეთოდოლოგიით და არ მოწმდება პრაქტიკა.
***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***
რეკომენდაცია
.............................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.............................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.............................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (დამტკიცებული ბრძანებით - № ბ 58.5226030001, 30.01.2026 წელი);
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2028 - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, 30/06/2023 განკარგულება: გ-53.53231812;
3. სამოქმედო გეგმა 2026-2027 (გაერთიანების ბრძანება - ბ.58. 5226043001 – 12/02/2026);
4. პატარა ჩაილურის სკოლამდელი დაწესებულების სამოქმედო გეგმა 2026 - დამტკიცების ბრძანება 06.04.2026 ბ.58. 5226096001
5. ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან;

6. გაერთიანების წერილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტს (წერილის N 58-522306114 02/03/2023);
7. ინტერვიუ პატარა ჩაილურის სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერთან;
8. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა - 29.05.2026.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☒ |

## 2. კურიკულუმი [3]

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა**

### კურიკულუმის დასახელება

**1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში".**

**2) სასკოლოო მზაობის პროგრამა „თამაში".**

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

**1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დადაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმებით:
1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" (დანართი N4. ბრძანება №58.5225300001. 27.10.2025).

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის" ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (დანართი N4. ბრძანება N147. 30.12.2019).
დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „კურიკულუმის შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი N5 №ბ58. 52260302. 30.01.2026.), აღნიშნული დოკუმენტის, მეორე მუხლის (კურიკულუმის შერჩევა) პირველი და მეორე პუნქტების თანახმად 1. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმების შერჩევა; დ) კურიკულუმების დამტკიცება. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.
დაწესებულებამ მტკიცებულების სახით ასევე წარმოადგინა სახელმძღვანელოების დანართები: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“ I ნაწილი (დანართი N4), „ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“ II ნაწილი (დანართი N4), სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აღმზრდელის სახელმძღვანელო (დანართი N4), სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული I ნაწილი (დანართი N4), სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული II ნაწილი (დანართი N4).
ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ ასევე მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბრძანება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება N58. 5226092001. 02.04.2026), რომელიც განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის მიხედვით (დანართი N5. ბრძანება №ბ58. 52260302. 30.01.2026.); თუმცა კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანების თარიღი (ბრძანრბა N58. 5226092001. 02.04.2026) არ ემთხვევა კურიკულუმის დამტკიცების თარიღს (დანართი N4. ბრძანება Nბ58.5225300001. 27.10.2025).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის შერჩევის პროცესის ფორმალიზება და დოკუმენტური დასაბუთება, დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, კერძოდ მარეგულირებელი წესისის თანახმად თანმიმდევრობით აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანების თარიღისა და კურიკულუმის დამტკიცების თარიღის თანხვედრაში მოყვანის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს კურიკულუმის შერჩევის პროცესის ფორმალიზებასა და დოკუმენტურ დასაბუთებას დამტკიცებული "კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესის" შესაბამისად), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მეთოდისტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების

გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში; საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კავშირის დამყარებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტოვობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას, აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიადიულური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5 №ბ58. 52260302. 30.01.2026.), აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის, პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი; დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026). აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (საკომუნიკაციო არხების შერჩევა) მესამე პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა)პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით; გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ)საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები (facebook); ი) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.
დაწესებულებამ წარმოადგინა სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისობის, მიზნების და შინაარსის გაცნობის მიზნით გაწერილი აქვს დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან შეხვედრები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ასევე საგანმანათლებლო პერსონალთან/თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი (ოქმი N 1 27.08.2025) შერჩეული კურიკულუმის გაზიარება/გაცნობასთან დაკავშირებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

arგumentirebuli poziciis gaziareba

..................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N4 - ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 27.10.2025 წლის Nბ58.5225300001 ბრძანება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ დამტკიცების შესახებ
2. დანართი N4 -ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 30.12.2019 წლის N147 ბრძანება განათლების სასკოლოო მზაობის პროგრამა „თამაშის“ დამტკიცების შესახებ
3. დანართი N5 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5 №ბ58. 52260302. 30.01.2026.).
4. დანართი N21 - ბრძანება კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანრბა N58. 5226092001. 02.04.2026)
5. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026).
6. ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
7. დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
8. საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის ოქმი *შერჩეული კურიკულუმის გაცნობის მიზნით* (ოქმი N 1. 27.08.2025)

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება
## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და

რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026). ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მატერიალური სახით წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები), დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველდღიური/ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (კვარტლური/წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026). ამავე დოკუმენტის მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მესამე მუხლის თანახმად: საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები), გაერთიანების შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველდღიური/ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (კვარტლური/წლიური) და შეესაბამება გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს; გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების დირექტორი/მენეჯერი; მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაულოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების

პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი; დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით მარეგულირებელი წესის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინა ბრძანება გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N ბ58. 52260924. 02.04.2026), თუმცა ვერ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანება გრძელვადიანი გეგმების შექმნაზე პასუხიმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ განახორციელოს თანმიმდევრული სამუშაოები დოკუმენტის- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მესამე მუხლის შესაბამისად; კერძოდ: გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნას გრძელვადიანი გეგმების შექმნაზე პასუხიმგებელი სამუშაო ჯგუფი.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გრძელვადიანი გეგმების შედგენაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ; დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მესამე მუხლის შესაბამისად შექმნის გრძელვადიანი გეგმების შექმნაზე პასუხიმგებელი სამუშაო ჯგუფს), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (გაერთიანების პერსონალი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება №ბ58. 5226034001. 03.02.2026) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო

ზემოთ აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის მეათე მუხლის (პორტფოლიოების წარმოება) მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა)დღის განრიგი; ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; გ) რეფლექსური ჩანაწერები. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები; აღმზრდელის თანაშემწის, მუსიკის მასწავლებლის, ლოგოპედის და ფსიქოლოგის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები.

მარეგულირებელი წესის თანახმად აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზი ნათლად ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) თანახმად ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვის მიზნით დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.
- მშობლის უკუკავშირი
- საგანმანათლებლო პროცესში განხორციელებული აქტივობების ანალიზი

მარეგულირებელი დოკუმენტის მეოთხე მუხლის თანახმად ინდივიდუალიზაცია ვლინდება: 1) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით; 2) ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები; 3) ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

რჩევა
..................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) მესამე მუხლის

(საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეხუთე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად მოკლევადიანი დღის გეგმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: თამაშზე ორიენტირებული პროცესი; სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.
ადგილზე ვიზიტის პროცესში, საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელებთან, თანაშემწესთან, ფსიქოლოგთან, მუსიკის მასწავლებელთან) ინტერვიურებისას გამოვლინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ სივრციდან სივრცეში გადასვლისას (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) რუტინული აქტივობები (სიმღერები, ფერადი ვიზუალური ნიშნები, ხმოვანი მინიშნება-სათამაშო). ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
........................................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება №58. 5226034001. 03.02.2026) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეხუთე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მოკლევადიანი გეგმის, დღის განრიგის ერთ-ერთი ასპექტი არის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორინტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.
აღმზრდელებთან ინტერვიურებისა და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.
გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ნაკლებად ეძლევათ ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ეზოში განთავსებული კონსტრუქციები (რკინის საქანელა, სასრიალო), რომლებიც დაზიანებულია და საფრთხეს წარმოადგენს ბავშვებისათვის. ეზოში არ არის მაგიდები, სკამები,

ბალანსის მოწყობილობა, საქვიშე; საჩრდილობელი, სახლი, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის, ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

რჩევა
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გარე სივრცის კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად მოწყობის შესახებ, რომ თითეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2028 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, რათა ბავშვებს ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (მუნიციპალიტეტის მერია/გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

**ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.**

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) მეხუთე მუხლის

თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა): 1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს; 2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს; 3. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს; 4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს; 5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას; 6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად; 7. დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდება დამტკიცებული წესის შესაბამისად, კერძოდ, საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვროს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა.

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების დირექტორის მიერ საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის ბრძანებით დამტკიცემის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება გაითვალისწინებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას დამტკიცებული წესის შესაბამისად. კერძოდ, საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობითა და გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-

მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი- ბრძანება N ბ58. 52260403. 09.02.2026), აღნიშნული დოკუმენტის მეხუთე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა) მეხუთე პუნქტის თანახმად, დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულები მიერ შერჩეულ კურიკულუმს; მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში.
დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) თანახმად ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების სახეობა და მინიმალური ჩამონათვალი, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებისას დაწესებულებაში წარმოდგენილია ძირითადად ხელოვნური, ქარხნული, პლასტმასის მასალა.
ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია: ბაღის 2025 წლის ,,ინვენტარიზაციის დოკუმენტი'', რომელშიც ასევე აღნიშნულია სათამაშოების ჩამონათვალი; საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტი (2025 წლის დეკემბერი); წარმოდგენილი იქნა ასევე სათამაშოების მიღება-ჩაბარების აქტი თარიღების გარეშე; საბავშვო ლიტერატურის ჩამონათვალი და მიღება-ჩაბარების აქტები გაერთიანებაში შემავალი ბაღების მიხედვით (2025 წლის დეკემბერი); სათამაშოების ჩამონათვალის ფასების ცხრილი (დანართი N2. 12.10.2025), რომელშიც არ არის მითითებული სამიზნე ბაღები; ბიბლიოთეკის აღმწერი ჟურნალი, აღნიშნულ დოკუმენტში არ არის აღნიშნული თარიღი და კონკრეტული რესურსის რაოდენობა. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი არ არის დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოს მისი შეძენა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკურუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შექმნის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება შეიძენს კურიკულუმის მიზნების მიღწევისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებს, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წაახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება №58. 5226034001. 03.02.2026) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფის ოთახში განთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი, ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), ცენტრებში განთავსებულია

ვიზიალური მინიშნებები, შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. რესურსების უმრავლესობა ქარხნულია, არის ასევე მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი მასალები, რომლებიც განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ჯგუფებში წარმოდგენილა სივრცე ბავშვების ნამუშებრებისთვის; დაწესებულებაში არის მუსიკალური დარბაზი, რომელშიც განთავსებულია მუსიკალური ინსტრუმენტი და სკამები; ჯგუფში არ არის პრივატული/განმარტოვების სივრცე;
გარე სივრცეში/ეზოში განთავსებული კონსტრუქციები (რკინის საქანელა, სასრიალო) დაზიანებულია და საფრთხეს წარმოადგენს ბავშვებისათვის. ეზოში არ არის მაგიდები, სკამები, ბალანსის მოწყობილობა, საქვიშე; დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი: არ აქვთ სივრცე სენსორული, დრამატული თამაშებისათვის, შენობა/კარავი, მაგიდა, სკამები, ბოსტანი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, გარე სივრცე/ეზო დაყოფილი იყოს სათამაშო სივცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, სენსორული, დრამატული სივრცე.

რჩევა

სასურველია, ცენტრების მოწყობა, შეესაბამებოდეს კურიკულუმის მოთხოვნებს (მაგ. განმარტოების სივცეში მოეწყოს არაუმეტეს 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი პრივატული ზონა, რომელიც იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი რბილი ავეჯით: რბილი იატაკით, ბალიშებით, პუფებით, შესაბამისი განათებით. რბილი ავეჯი ამცირებს ხმაურის შეგრძნებას და ბავშვს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნმება დასვენების, გარკვეული დროის პერიოდში განერიდოს ჯგუფის ხმაურს); გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საქვიშე, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების ჯგუფისა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2028 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულების ჯგუფში მოეწყობა პრივატული/განმარტოვების სივრცე. დაწესებულება შიდა და გარე სივრცეს მოაწყობს კურიკულუმის შესაბამისად; გარე სივრცეში/ეზოში განთავსებული დაზიანებული კონსტრუქციები (რკინის საქანელა, სასრიალო) ჩანაცვლდება ან შეკეთდება უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად, რათა არ წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (მუნიციპალიტეტის მერია/გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.**

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც ცენტრების მიხედვით არის ორგანიზებული; რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე, თუმცა ხშირ შემთხვევებში ჯგუფური ოთახების კედლებზე თვალსაჩინოების განთავსებისას არ იყო გათვალისწინებული ბავშვების სიმაღლე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

წარმოდგენილი კონსტრუქციები (რკინის საქანელა, სასრიალო) საფრთხეს წარმოადგენს ბავშვებისთვის. ეზოში არ არის მაგიდები, სკამები, სახლები, ბალანსის მოწყობილობა; საქვიშე. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი; ეზოში განთავსებული საგანმანათლებლო რესურსი არასაკმარისია და არ არის ბავშვისთვის ხემისაწვდომი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შერჩეული კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოს გარე სივრცის/ეზოს დაყოფა სათამაშო სივცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების გარე სივრცის რესურსით აღჭურვის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2028 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს გარე სივრცის/ეზოს დაყოფა სათამაშო სივცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზება, რომელიც

ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (მუნიციპალიტეტის მერია/გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (მერიის ბიუჯეტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.**

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩით, ბალიშებითა და პუფებით, სადაც ბავშვებს დასვენების საშუალება ექნებათ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება №58. 5226034001. 03.02.2026) მერვე მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა; დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩეკლისტები; დ) სკალები; შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

ამავე დოკუმენტის დანართის სახით წარმოდგენილია მხოლოდ ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი N1). დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 58. 52260923. 02.04.2026), აღნიშნულ ბრძანებას დანართის სახით თან ახლავს მხოლოდ ბავშვის შეფასების ფორმა, დოკუმენტს დანართის სახით არ ახლავს ბავშვის დაკვირვების ფორმა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმები წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დანართების სახით და დამტკიცებულ იქნას გაერთიანების დირექტორის მიერ ამავე წესის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი N6. ბრძანება №58. 5226034001. 03.02.2026) მერვე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების

პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი.

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) თანახმად თანახმად შეფასების პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც; ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, ბ)გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს, დ) საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მეშვიდე პუნქტის თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N4 - –ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 27.10.2025 წლის Nბ58.5225300001 ბრძანება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის" დამტკიცების შესახებ
2. დანართი N4 - –ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 30.12.2019 წლის N147 ბრძანება განათლების სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაშის" დამტკიცების შესახებ
3. დანართი N5 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5 №ბ58. 52260302. 30.01.2026.).

4. დანართი N21 - ბრძანება კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანრბა N58. 5226092001. 02.04.2026)
5. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026).
6. ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
7. სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
8. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026)
9. დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-ბრძანება N ბ58. 52260403. 09.02.2026),
10. ინვენტარიზაციის დოკუმენტი (25.01.2025);
11. საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტი გაერთიანებაში შემავალი ბაღების მიხედვით (12.2025);
12. სათამაშოების აღრიცხვის ჟურნალი 2026 წელი
13. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).
14. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.2. კურიკულუმის განხორციელება** | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☒ | არ შესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

## 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

**1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს: ა) პროცესის დაგეგმვა; ბ) განხორციელებული აქტივობები; გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა; დ) ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება; ე) ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი; ვ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება). პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად წელიწადში ერთხელ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, შეფასების გუნდი განისაზღვრება ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომში განვითარება) მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი; ანგარიში მოიცავს ამ მუხლის მე-2

პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სიტუაციის აღწერას, გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და რეკომენდაციებს; ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური (გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან), ისე შინაარსობრივი (აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.) ცვლილება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026)
2. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026).
3. დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
4. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

## 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

**1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026), აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, შეიმუშავებს საკომუნიკაციო გეგმას. დაწესებულებამ წარმოდგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N ბ58. 52260922. 02.04.2026) თანდართული დანართის შაბლონით (დანართი N1), რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, ღონისძიების შინაარსი, აქტივობების განხორციელების პერიოდი (თვეები) და პასუხისმგებელი პირები. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა წესი, მაგალითად, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობას.
დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები (ღია კარის დღის ორგანიზება; ფიზიკური გარემოს მოწყობა კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობა; მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება; კურიკულუმის გაცნობა დაწესებულების პერსონალისთვის; ახალი სეზონური მესიუ გაცნობა; მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების გაზიარება; დაწესებულებაში სახანძრო უსაფრტხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სიმულაციური სწავლება; მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს

შექმნა; მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა; ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის განხილვა; თემის რესურსის მოძიება გასვითი აქტივობების დაგეგმვის მიზნით; ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; გაერთიანების მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო რესურსის სივრცეებში გადანაწილება; სამოქმედო გეგმის გაცნობა დაწესებულების პერსონალისთვის; სოპ-ების გაცნობა; თანამშრომლებითვის პირადი ჰიგიენისა და ქცევის წესების, სურსათის ტემპერატურული რეჟიმების დაცვის, სურსათის შენახვის დროს და საფრთხის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების მიმოხილა; წლიური ანგარიშის პრეზენტაცია), თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების თარიღები არ შეესაბამება გაერთიანების დირექტორის მიერ საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების თარიღს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ დაგეგმოს აქტივობები მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად და თანხვედრაში მოიყვანოს საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცებისა და წინასწარ გაწერილი ღონისძიებების თარიღები.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების თარიღებისა და გაერთიანების დირექტორის მიერ საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების თარიღის თანხვედრაში მოყვანის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის დაგეგმავს აქტივობებს მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად და თანხვედრაში მოიყვანს საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცებისა და წინასწარ გაწერილი ღონისძიებების თარიღებს), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების ხელმძღვანელი/ბაღის მენეჯერი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (გაერთიანებისა და ბაღის პერსონალი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება,

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026) და ბრძანება ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N ბ58. 52260922. 02.04.2026), რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან.
დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, განსახორციელებელი აქტივობის დროის მოახლოებისას მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განმეორებით განათავსონ ინფორმაცია, წახალისების მიზნით დაწესებულების სივრცეში, თითეულ ჯგუფთან მოწყობილი კუთხეში მშობელთათვის განთავსებულია „წინადადების ყუთი“.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7; ბრძანება Nბ43.90260307. 30/01.2026), აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) საინფორმაციო დაფები; გ)დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები (ფეისბუქი); დ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (ფეისბუქ გვერდის დახურული ჯგუფი მესენჯერი).
ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები, საინფორმაციო კუთხეში განთავსებულია „წინადადების ყუთი“.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026)
2. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026).
3. სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
4. ინტერვიუს შედეგები
5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N ბ58. 52260922. 02.04.2026), ასევე წარმოადგენა სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: (ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა-ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბავშვის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება).
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026), აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს უზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს უზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. იღებს უკუკავშირს და ითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N ბ58. 52260922. 02.04.2026), ასევე წარმოადგენა სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი აქტივობაა-თემის რესურსის მოძიება გასვლითი აქტივობების დაგეგმის მიზნით.

დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელებთან ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად (სკოლა, ბიბლიოთეკა, მარანი).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, თემში არსებული რესურსების გათვალისწინება დაიგეგმოს აღმზრდელის გრძელვადიან, წლიურ გეგმებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5 №ბ58. 52260302. 30.01.2026.), რომლის თანახმად, კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; დ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა/გამრავალფეროვნებას; ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას; კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა. თემის ცვლილება და კორექტირება კურიკულუმში ხდება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და ჩანს აღმზრდელ-პერაგოგის/აღმზრდელების რეფლექსურ ჩანაწერებში.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხევით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N 6 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი N6. ბრძანება Nბ58. 5226034001. 03.02.2026)
2. დანართი N7 ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებთა გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7; ბრძანება Nბ58. 52260303. 30/01.2026).
3. სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება Nბ58.52260922. 02.04.2026).
4. ინტერვიუს შედეგები
5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

## 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები.
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით (11.02.2026 წლის N ბ.58.5226042001).
დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საერთო საშტატო ნუსხა (20.01.2026 - ბ.52. 522602019), რომელსაც თან ერთვის კონკრეტულად პატარა ჩაილურის სკოლამდელი დაწესებულების საშტატო ნუსხაც (ჯამში დაკომპლექტებული 11 თანამშრომლით).საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში. დაწესებულებას ჰყავს:
მენეჯერი - 1;
აღმზრდელ-პედაგოგი - 2;
მუსიკის მასწავლებელი - 1;
მზარეული - 1
აღმზრდელ ფსიქოლოგი- 1; შტატი 0.5
აღმზრდელის თანაშემწე - 2;
დამლაგებელი - 1;
დარაჯი -1;
მედდა - 1;

დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს 2 შერეული ასაკობრივი ჯგუფი: (2-3-4-5-6 წელი), ჯამში 40 ბავშვით. აღსანიშნავია, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის 22-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაძლებელია 2-დან 3 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაქსიმუმ 25 ბავშვის, ხოლო 3-დან ზევით - მაქსიმუმ 30 ბავშვის განთავსება. ასევე, 2-დან 3 წლამდე ასაკობროვ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი, ხოლო 3 წლიდან ზემოთ 1:15-ზე მეტი. გარდა ამისა, დაწესებულებაში ორივე ჯგუფი არის შერეული. შესაბამისად, საქართველოს კანონში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ მუხლი 20-ის მე-2 პუნქტის მიხედვით, ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, და დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობიდან (2) გათვალისწინებით, რეკომენდებული ბავშვთა ზღვრული რაოდენობა არის 28.
***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.***

რეკომენდაცია
დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და დაიცვას თანაფარდობა და შერეული ჯგუფის სპეციფიკა შემდეგი პრინციპით 2-3 (1/13); 3-4 (1/15); 4-5 (1-15); 5-6 (1/15). არსებული ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის რეკომენდებული ბავშვების ზღვრული რაოდენობა არის 28.
რჩევა
..............................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება იხელმძღვანელებს საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ და დაიცავს აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობას და გაითვალისწინებს შერეული ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკას.
წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე).
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.
***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულების მიერ ბრძანებით (11.02.2026 წლის N ბ.58.5226042001) დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს“ დანართად #1 თან ერთვის სამუშაო აღწერილობები და ზოგიერთ შემთხვევაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სადაც გაწერილია პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (უფლება-მოვალეობები). დანართში წარმოდგენილია იმ პირის უფლება-მოვალეობები, ვინც განსაზღვრულია დამოწმებულ საშტატო ნუსხაში. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ 15.04.2016 წელს (N131). შინაგანაწესში დამატებით გაწერილია თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, ასევე მათი წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა.
გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N34 (27 აპრილი, 2018 წელი). აღნიშულ დოკუმენტში გაწერილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი პროგრამის განმახორციელებლი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

გარდა ამისა, აღსანიშავია, რომ პატარა ჩაილურის სკოლამდელი დაწესებულების შესასვლელში, საინფორმაციო კუთხეში გამოკრული აქვს თითოეული დასაქმებული პირის ფუნქციები, იმისთვის, რომ პროცესები იყოს გამჭვირვალე და ადვილად აღქმადი პერსონალისა და მშობლებისთვის.

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ განაახლოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პირების ფუნქციები და გაითვალისწინოს, რომ თავმოყრილი იყოს რომელიმე ერთ, დადგენილ დოკუმენტში. დაწესებულების შინაგანაწესში, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და გაერთიანების მიერ დამტკიცებულ, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N34 (27 აპრილი, 2018 წელი). აღნიშულ დოკუმენტში გაწერილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი პროგრამის განმახორციელებლი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში აღნიშულია, რომ აღმზრდელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს: ა) უმაღლესი აკადემიური განათლება; ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლების აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ-მოდული. გასათვალისწინებელია, რომ ნაწილობრივ აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაციაა დადგენილი აღმზრდელისთვისაც, რაც ისედაც დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის N478- ე დადგენილებით „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტში“.

აღნიშნულ დოკუმენტში, გარდა საგანმანათლებლო პერსონალისა, განსაზღვრულია სხვა დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც: მაგ. მუხლი 11- ში განსაზღვრულია ინკლუზიური მხარდამჭერი პერსონალის პროფესიული სტანდარტები, სადაც მითითებულია, რომ ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს უნდა ჰქონდეს აკადემიური უმაღლესი განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამისად. ამავე დროს, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის - (11.02.2026 – N ბ58. 5226042001) დანართის მუხლი N12 -ში “ფსიქოლოგი“ - აღნიშნულია, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური ან პედაგოგიური უმაღლესი განათლება, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილ შნაგანაწესში (მუხლი 7.12.)

აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი განათლება. ეს ორი მუხლი გარკვეულწილად მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.

გარდა ამისა, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში - (11.02.2026 – N ბ58. 5226042001), მუხლი N17. პერსონალის კვალიფიკაცია, სადაც დამატებით აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. ასევე, საქართველოს კანონში ადრეული განათლების შესახებ - მუხლი 18[1] - განმარტებულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხნისა ან გაქარწყლებისა.
პატარა ჩაილურის თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ:

1. 2 თანამშრომელს აქვს უმაღლესი განათლება/ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი/ პროფესიული განათლება პედაგოგიკის მიმართულებით და ასევე, გავლილი აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული. მათ გაერთიანების მიერ მინიჭებული აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. აღნიშნული თავსებადია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
2. დაწესებულების მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 7.12) ფსიქოლოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი, აკადემიური განათლება. პატარა ჩაილურის სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში დასაქმებულ ფსქილოგს აქვს უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რაც დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამოა.
3. არცერთ თანამშრომელს არ აქვს პირად საქმეში წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ცნობა.

საქართველოს მთავრობის N478 დადგენილების მიხედვით, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის (მუხლი 4- ის, „გ“ ქვეპუნქტის) მიხედვით, პატარა ჩაილურის სკოლამდელ დაწესებულება დასაქმებული 2 აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო შინაგანაწესის მიხედვით, ფსიქოლოგის განათლება არ შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.***
რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების შერჩევა და დანიშვნა. გადახედოს შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დარწმუნდეს, რომ მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გაწერილია სამ სხვადასხვა დოკუმენტში, არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებისას იხელმძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით, მათ შორის საქართველოს მთავრობის N478-ე დადგენილებაში განსაზღვრული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით.

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს კანონში ადრეული განათლების შესახებ - მუხლი 18[1] -ით, სადაც განმარტებულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. აღნიშული ცნობები მოატანინოს დასაქმებულებს და წარმოადგინოს მათ პირად საქმეში.

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების შერჩევას და დანიშვნას.

წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე). ასევე უზრუნველყოფს, თანამშრომლების პირად საქმეებში წარმოადგინოს ცნობები - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. ვადები: 2026 წლის ივნისი - 2026 წლის დეკემბერი (7 თვე).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.

***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პატარა ჩაილურის სკოლამდელმა დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგის დამადასტურებელი ორი (2 აღმზრდელ-პედაგოგის) სერტიფიკატი. ტრენინგი არ აქვს გავლილი საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ყველა პირს.

***აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.***

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგში მონაწილეობა და შეძლოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დადასტურება.

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფსს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგში მონაწილეობას და შეძლებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დადასტურებას.
წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2027 წლის ივნისი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე).
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.
***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (დამტკიცებული 11.02.2026 წლის N ბ.58.5226042001). დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვის კონკრეტული პრაქტიკა არ შემოწმებულა პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, თუმცა დოკუმენტში პეროსნალის მართვის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშული დოკუმენტის მუხლი 21. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტები -
1. დაწესებულებასა და თანამშრომელს შორის შრომითი ურთიერთობა წესრიგდება:
ა) წინამდებარე დოკუმენტით:
ბ) მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით;
გ) შრომის შინაგანაწესით.
2. მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეესაბამებ ,,საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ, შრომითი ხელშეკრულების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს.

განსაზღვრავს მხარეთა შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებებს, რომელიც ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით და შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსს“. გაერთიანებაში და არც კონკრეტულად დაწესებულებაში არც ერთ დასაქმებულთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შინაგანაწესი (დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ - 15.04.2016 N131). დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული განახლებული პროცესები, შინაარსი და ფაქტობრივი მოცემულობა რიგ შემთხვევაში აცდენილია ერთმანეთისგან. მაგ.:

1. *მუხლი 4. შტატები ერთი ჯგუფისთვის* - აღნიშულია, რომ ჯგუფში განსაზღვრულია აღმზრდელის 1.0 შტატი, აღმზრდელის თანაშემწის 1.0 შტატი, ხოლო მუხლი 2-ში აღნიშნულია, რომ ჯგუფში შესაძლოა იყოს 25 (უმცროს ჯგუფში) ან 30 (უფროს ჯგუფში) ბავშვი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთგვარი წინააღმდეგობაა აღმზრდელის, აღმზრდელ-პედაგოგის ბავშვებთან თანაფარდობასთან (1:13 და 1:15).
2. *მუხლი 6. სამუშაო დღის რეჟიმი და შვებულება* - სამუშაო დრო განსაზღვრულია დილის 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, სამჯერადი კვებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დღის განრიგში აღნიშულია, რომ სამუშაო დრო არის 17:00 საათამდე, ხოლო კვების ჯერადობა არის - ოთხი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში, ადრეული განათლების შესახებ, კერძოდ მუხლი 21 - განმარტებულია, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სასწავლო-სააღმზრდელო წლისა და დღის ხანგრძლივობა, რის მიხედვითაც დღის ხანგრძლივობაა 9 საათი.

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.***

რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს მათ მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” მუხლი 21 - ით , შრომითი მომწესრიგებლი დოკუმენტები, მოქმედი კანონმდებლობით და “საქართველოს შრომის კოდექსით” და დასაქმებულებთან გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები. გადახედოს 2016 წელს დამტკიცებულ შინაგანაწესს, რეალური მოცემულობა და დამტკიცებული დოკუმენტები მოიყვანოს შესაბამისობაში. იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, გაითვალისწინოს აღმზრდელების შტატის განსაზღვრა, ბავშვებთან მათი თანაფარდობა და სასწავლო-სააღმზრდელო დრო. შეცვალოს დღის განრიგი კანონისა და მუნციპალიტეტის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება დასაქმებულებთან გააფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.
წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე). ასევე, გეგმაში განსაზღვრული აქვს გადახედოს და ფაქტობრივ მოცემულობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანწესი და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი, იხლემძღვანელოს საქართველოს კანონით “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” და განსაზღვროს აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა ბავშვებთან. ასევე

განსაზღვრავს და დააკორექტირებს სასწავლო-სააღმზრდელო დროს შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქტივობის ვადა: 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისი (12 თვე).
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.
***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
შემოწმებისას, ასევე დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების წარმომადგენელთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღზრდელებს, დაწესებულებაში არსებულ არცერთ თანამშრომელთან საქმიანობის პროცესი არ არის დარეგულირებელი შრომითი ხელშეკრულებით. აღსანიშნავია, რომ ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში პატარა ჩაილურის სკოლამდელ დაწესებულებას აღნიშნული აქვს, რომ არსებობს ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს. დოკუმენტში „პეროსნალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (11/02.2026 Nბ.58 5226042001) დეტალურადაა გაწერილი მუხლი 21. -ის მე-3 პუნქტში:
3. აღმზრდელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ასევე მოიცავს ანაზღაურებადი არასაკონტაქტო საათების შესახებ ჩანაწერს და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს.

***აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.***

რეკომენდაცია
დაწესებულებამ იხელმძღვანელოს დამტკიცებული დოკუმენტით - პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” და უზრუნველყოს დასაქმებულ თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო აღმზრდელ-პედაგოგთან და აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვროს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები.
რჩევა
........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ: დაწესებულება დასაქმებულ თანამშრომლებთან გააფორმებს შრომითი ხელშეკრულებებს, ხოლო აღმზრდელ-პედაგოგთან და

აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრავს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.
წარმოდგენილია აქტივობის დაწყებისა (2026 წლის ივნისი) და დასრულების (2026 წლის დეკემბერი) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (7 თვე).
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.
***ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (11.02.2026, ბრძანება - N ბ58. 5226042001) და შინაგანაწესში (15.04.2016, დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბრძანებით N131)  გაწერილი აქვს კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია: მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა.
1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:
1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. საჯარო რეესტრის ამონაწერი - 30.06. 2014 წელი<br>2.შენობა-ნაგებობის სქემა 3.<br>ვიზუალური დათვალიერება<br>4.ბავშვთა ზღვრული რაოდენობის წესის შევსებული დანართი<br>5.შესაბამისობის გეგმა<br>6.ინტერვიუ დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების ხელმძღვანელთან. 7.<br>შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა - 29.05.2026 |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებამ წარმოადგინა 2014 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც არ არის განახლებული მოსარგებლის სარგებლობისთვის (უზუფრუქტით) ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.<br>დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა, რომელიც შეესაბამება დაწესებულების ფაქტობრივ მდგომარეობა, თუმცა არის 2004 წლის და ტექნიკურ პასპორტში სახურავის მასალად მითითებულია - "შიფერი". აღსანიშავია, რომ ვიზუალური დათვალიერებისას არ იყო ადგილზე აზბესტი და დაწესებულის მენეჯერთან ინტერვიუთიც გამოირკვა, რომ სახურავი რესტავრირდა და შეუცვალა სრულად აზბესტი. .<br><br>დაწესებულებას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ. გაწერილი აქვთ შეაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით.<br>დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშული კომპონენტი გაწერილია შესაბამისობის გეგმაში (12 თვის ვადით). | დაწესებულებამ წარმოადგინოს განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ. დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.დაწესებულებამ გაითვალისწინოს შესაბამისობის გეგმაში წარდგენილი ვადებით: 17/02/2026 - 17/02/2027. დაწესებულებამ წარმოადგინოს მიმართვა სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვებთან შესაბამისობის შესახებ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში - 17/02/2026 - 17/02/2027. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2027.06 12 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი მოსარგებლის სარგებლობისთვის(უზურფრუქტით) ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილი.<br>ამასთანავე, ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 24 თვის ვადაში (06/2026 – 06/2028) უზრუნველყოფს და წარმოადგენს მიმართვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ასევე წარმოადგენს შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნას. აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობა აშენებულია 2023 წლის 21 თებერვლამდე. | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება განთავსებულია I და II სართულზე.<br>ჯგუფური ოთახები განთავსებულია II სართულეზე. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.3. | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე აქვს ჯგუფური ოთახები და საერთო დამატებითი სივრცე თითოეული ჯგუფისთვის.<br>ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე ინდივიდუალური ჯგუფური ოთახებით და დამატებითი საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. დაწესებულებას არ აქვს საძინებელი ოთახი. დაწესებულებას აქვს გასახდელი ზონა.<br>გასახდელ ზონაში გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად. ჯამში გათვლილი 45 ბავშვზე. სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში (2-3) საძინებელი სივრცე არ არის. დაწესებულებას აქვს სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის. დაწესებულებას აქვს სანიტარული კვანძი პერსონალისთვის. დაწესებულებას აქვს ადმინისტრაციული სამყოფები. დაწესებულებას არ აქვს სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის - "სამასწავლებლო".<br>დაწესებულებას აქვს დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის- მუსიკალური დარბაზი. დაწესებულებას აქვს კვების ბლოკი და სამეურნეო ზონა. დაწესებულებაში მოწყობილია სამედიცინო მომსახურების სივრცე.<br><br>დაწესებულებაში არ არის პანდუსი, რის მოსაწყობადაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით.<br>დაწესებულებაში გათბობის წყაროდ გამოყენებულია გამოყენებული ცენტრალური გათბობის სისტემა<br>დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას.<br>დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა. | დაწესებულებამ მოაწყოს/გამოჰყოს სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის. დაწესებულებამ მოაწყოს საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე ბავშვებისთვის.<br>დაწესებულებამ იხელმძღვანელოს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით და მოაწყოს პანდუსი 12 თვის ვადაში - 17.02.2026-17.02.2027) | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც მოაწყობს/გამოჰყოფს სივრცესთანამშრომლობითი საქმიანობისთვის; საძნებელ/მოსასვენებელ სივრცეს ბავშვებისთვის იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია - შესაბამისად ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. ახალი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით პანდუსის კმოწყობის ვადებია - 2026.06 - 2028.06. ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბავშვების სანიტარულ კვანძები აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის საბავშვო ზომის უნიტაზებით - ჯამში 8 ცალი და საკმარისი რაოდენობის საბავშვო ზომის ხელსაბანებით - 2 ცალი. მხოლოდ პირველ სართულის სველ წერტილში მოწყობილია კაბინები და არის იზოლირებული, თუმცა სჭირდება შეკეთება.<br><br>დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე.<br>დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე.<br><br>დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ერთი ადაპტირებული სან.კვანძი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და ზრდასრულისთვის.<br>დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ. | დაწესებულებამ უზრუნველყოს სველ წერტილში არსებული საბავშვო კაბინების შეკეთება და მეორე სართული სველ წერტილში იზოლირებული კაბინების მოწყობა. დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს ადაპტირებული 17.02.2026-17.02.2027 სან. კვანძის მოყწობა შეზღდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს სველ წერტილში არსებული საბავშვო კაბინების შეკეთება და მეორე სართულზე იზოლირებული კაბინების მოწყობა. ასევე ახალი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ვადებით (2026.06 - 2028.06 - 24 თვე) ადაპტირებული სან.კვანძის მოწყობა შშმ ზრდასრული პირებისთვისა და ბავშვებისთვის - აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ეზო, რომელიც უზრუნველყოფს ერთ ბავშვთან მიმართებაში არანაკლებ 3 კვ.მ-ს . საერთო ფართი საჯარო რეესტრის მიხედვით - 1854 კვ.მ.<br><br>ეზოს სავრცე არ არის შემოფარგლული არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. ზოგიერთ ადგილას ღობის სიმაღლე 89-90-145სმ, ზოგ ადგილას- 80 სმ. ვერტიკალური ღიობები აღემატება 0,1 მ-ს. ღობეს აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. დარღვეულია ღობის მთლიანობა, არ არის უსაფრთხო. ღობის მოწყობა დაწესებულებას გატანილი აქვს შესაბამისობის გეგმაში 12 თვის ვადით. 17.02.2026-17.02.2027. | დაწესებულებამ უზრუნველყოს მყარი, უსაფრთხო ღობის მოწყობა, რომლის სიმაღლეც იქნება მინიმუმ 1.6მ და დგარებს შორის დაშორება არ იქნება 10სმ-ზე მეტი. აღნიშნული დარეგულირებულია შესაბამისობის გეგმით, იხელმძღვანელოს ვადებით: 17.02.2026 - 17.02.2027. | | დაწესებულებამ შესაბამისობის უზურნველყოფის გეგმაში წარმოადგინა მყარი და უსაფრთხო ღობის (სიმაღლე მინიმუმ 1.6მ, დგარებს შორის დაშორება 10სმ-ზე ნაკლები) მოწყობის განახლებული ვადები (2026.06 - 2028.06 24 თვე) - აღნიშნული ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ეზოში განთავსებულია ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობები: 1 სასრიალო, 1 საქანელა, მზისგან დამცავი საჩრდილობელი, თუმცა ყველა მათგანი არის რკინის, დაზიანებული და არ არის უსაფრთხო ბავშვებისთვის. ეზოს მოწყობილობები არ ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს. დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა: მზისგან დამცავ საჩრდილობელზე, სათამაშო სახლი/კარავზე, სკამებზე და მაგიდებზე 12 თვიან (17.02.2026-17.02.2027) ვადაზე. ეზოში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, არის ბუნებრივი საფარი. ეზოს ტერიტორიაზე არ არის განათების წყარო, რაც ვერ უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას. დაწესებულების გვერდითა ეზოში, არის მოწყობილი ქვაფენილი, რომელიც დაზიანებულია და არის მახვილკიდეებიანი ფილები. | დაწესებულებამ იხელმძღვანელოს შესაბამისობის გეგმით და ეზო მოაწყოს სტანდარტის შესაბამისად, გახადოს უსაფრთხო და ფუნქციური სხვადასხვა ტიპის სავალდებულო სივრცეების შექმნით. ეზო აღჭურვოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი სივრცეებით და გაითვალისწინოს შესაბამისობის გეგმის ვადები - 17.02.2026-17.02.2027. დაწესებულებამ უზრუნველყოს განათების წყარო, რაც განაპირობებს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას. გარდა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აღჭურივილობებისა, დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვა სავალდებულო სივრცეების შექმნაც. დაწესებულებამ ეზოს სივრცეში მოაწყოს უსაფრთხო ზედაპირის მქონე ბილიკი. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს ეზოს მოწყობა 2.6 ინდიკატორების მოთხოვნების შესაბამისად და დაამონტაჟოს სავალდებულო აღჭურვილობები, რომლებიც არ იყო დარეგულირებული პირველად შესაბამისობის გეგმაში- აღნიშინული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს ეზოს მთელი ტერიტორიის უსაფრთხოება, მათ შორის მოაწყობს გლუვზედაპირიან ბილიკს, რომელსაც არ ექნება მახვილი კიდეები, ასაკის შესაბამისი სიმაღლისა და კონსტრუქციული გადაწყვეტით უსაფრთხო ეზოს მოწყობილობებს, ასევე უზრუნველყოს ეზოში გარე განათების წყაროს - აღნიშინული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | სასრიალო | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულების ცენტრალურ შესასვლელში არის განთავსებული მინის დეტალების მქონე კარები, ასევე, განთავსებულია ჯგუფურ ოთახებშიც. კარებზე არ არის მარკირება.<br>დაწესებულების არცერთ იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან არ არის მოწყობილი უსაფრთხოების ბადე, რომელიც გათვლილი იქნება არანაკლებ 30 კგ-ზე. ასევე არ არის განთავსებული ბადის ჩამჭრელი მოწყობილობა.<br>დაწესებულების ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფების სიმაღლე განსხვავებულია, ერთ ჯგუფში ზომა - 103 სმ, მეორე ჯგუფში - 108 სმ. სასადილოში და სველ წერტილში ფანჯრის რაფის სიმაღლე არის 83სმ და 80 სმ, ინდიკატორის მითითების მიხედვით, ჯგუფურ უჯრედში ზომები დამაკმაყოფილებელია. | დაწესებულებამ უზრუნველყოს კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის მოწყობა, რომლის დგარებს შორის დაშორება არ იქნება 10 სმ-ზე მეტი და გათვლილი იქნება არანაკლებ 30 კგ.-ზე. ასევე ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განათავსოს ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა. დაწესებულებამ უზრუნველყოს მინის ელემენტებიანი კარზე დამცავი ფირის აკვრა და ასევე, მარკირება ორ სიმაღლეზე: 90სმ და 150 სმ-ზე. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს: მინის დეტალების შემცველ კარზე და შესასვლელ ვიტრაჟზე დამცავი ფირის გაკვრა, ასევე განათავსებს მინის ელემენტებიან კარებზე მარკირებას ორ სიმაღლეზე 90სმ და 150 სმ-ზე. უზრუნველყოფს კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის მოწყობას, რომლის დგარებს შორის დაშორება არ იქნება 10 სმ-ზე მეტი და გათვლილი იქნება არანაკლებ 30 კგ.-ზე. ასევე ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განათავსებს ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობას - აღნიშინული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების კიბის უჯრედი არ არის პრიალა. შენობაში არ არის ხვეული კიბეები და კიბის სიგანე არ აღემატება 500 სმ-ს. თუმცა არის მხოლოდ ერთი ზომის მოაჯირი 94 სმ- ის სიმაღლის. არ არის ბავშვისთვის განკუთვნილი მ ეორე ზომის მოაჯირი. დგარებს შორის დაშორება არის 10-11სმ. კიბის ერთ ნაწილში არის შედარებით დიდი შუალედი - 20 სმ, რაც გარკვეული საფრთხის შემცველია. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვების ზომის მოაჯირის მოწყობა და 20-სმიანი დაშორების შემცირება 10 სმ-მდე. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს: კიბის უჯრედში არსებული მოაჯირის უსაფრთხოებას ვერტიკალური დგარებით, რომელთა შორის დაშორება არ იქნება 10სმ-ზე მეტი. მოაწყობს მოაჯირს ბავშვებისათვის, რომლის სიმაღლეც იქნება 50 სმ +- 5 სმ. აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში კოლონებსა და კედლის კუთხეებს არ აქვთ 0.5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის დამცავი. კოლონებზე და ბარიერებზე არ არის მარკირება სამ სიმაღლეზე. ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არ არის ბასრი კიდეები, ან ისეთი ელემენტები, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს დაჯახებისას. დაწესებულებაში არის ცენტრალური გათბობა. | დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლონებისა და კედლის კუთხეების მომრგვალება 0.5 სმ-იანი რადიუსით, ასევე განათავსოს მარკირება სამ დონზე; იატაკის დონეზე, იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს: კოლონებისა და კედლის კუთხეების მომრგვალება 0.5 სმ-იანი რადიუსით, უსაფრთხოების დაცვისთვის, ასევე მარკირება სამ დონზე; იატაკის დონეზე, იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე. აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე და არ აქვს დამცავები. ნათურები ზოგიერთ ადგილას არ არის დაფარული დამცავი ფარით. შენობაში ავეჯი მყარად არ არის დადგმული იატაკზე და არ არის უსაფრთხო ბავშვებისთვის. ჯგუფურ ოთახებში მაგიდებთან ადგილების და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას: 2-3-4-5-6 წლიანების ჯგუფი: 9 მაგიდა 4 ადგილიანი; სკამი 25 ცალი; 2-3-4-5-6 წლიანები - მაგიდა- 10 ცალი 4 ადგილიანი, სკამი - 18 ცალი. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ავეჯის მყარად დადგმა ან მიმაგრება იატაკზე ან კედელზე, რათა უსაფრთხო იყოს ბავშვებისთვის. უზრუნველყოს ნათურების დამცავი ფარი. ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე განთავსებულ დენსართებს მიამაგროს დამცავები. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2027.06 12 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოფს: ავეჯის მყარად დადგმას იატაკზე ან კედელზე, ნათურებს დამცავი ფარით, ასევე დენსართებზე დაამაგრებს უსაფრთხოების დამცავებს, - აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც მეტწილი. |
| ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (2-3) წლიანების ჯგუფში, მაგიდის ზომაა: 46 სმ (ყველაზე დაბალი) . 2-3 4-5-6 წლის ასაკობრივ ჯგუფში: მაგიდა - 46-50სმ. - 18 ცალი, 55 სმ- 1 ცალი. სკამი 31-33 სმ. 20 ცალი. სკამი 26-28 სმ - 43 ცალი. | დაწესებულებამ, სტანდარტში მითითებული ზომების შესაბამისად , უზრუნველყოს უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის შესაბამისი მაგიდებით ჯგუფის აღჭურვა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2027.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც 4.3- ის 3.2. ინდიკატორზე, რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოფს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მატერიალურ რესურსში გათვალისწინებს 2-3 წლის ბავშვების და განსაზღვრავს მაგიდის ზომებსაც. ინდიკასტორი შეფასდა, როგორც |
| 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებას არ აქვს საძინებელი სივრცე. დაწესებულებაში არის კომპიუტერი და პრინტერი, თუმცა არ არის ინტერნეტი. დაწესებულებაში არ არის საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი და სათლი ავტომატური სატერფულით. | დაწესებულებამ უზრუნველყოს საძინებელი სივრცე და ისეთი საწოლები, რომლებსაც ექნება მინიმუმ 30 სმ სიმაღლის ზღუდე. ჯგუფური ოთახის სართულზე გაითვალისწინოს საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი და სათლი ავტომატური | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს საძინებელი სივრცის მოწყობას ჯგუფური ოთახის სართულზე და ისეთი საწოლების შეძენას, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილ ზომებს. საწოლებს ექნება მინიმუმ 30 სმ-იანი დამცავი ზღუდე. ჯგუფური ოთახის სართულზე გაითვალისწინებსსაფენების გამოსაცვლელ მაგიდას, სათავსს და სათლს |
| 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | სატერფულით. უზრუნველყოს დაწესებულებაში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა. | | ავტომატური სატერფულით. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს ინტერნეტის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი<br>ეზოს/გარე სივრცის ფართი<br>აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა<br>საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა<br>საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა<br>გასახდელი სივრცე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: ეზოს ფართი 1854კვ.მ, ჯგუფური ოთახების რაოდენობა 2, საერთო სივრცის ფართი საკმარისია ბავშვზე 2 კვ-ის გაანგარიშებით. საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა - 3, საბავშვო ზომის უნტაზების რაოდენობა - 7, საბავშვო ზომის სკამები -60; საბავშვო ზომის მაგიდები - 19 ცალი(4ადგილიანები), საწოლების რაოდენობა - 0 ცალი. გასახდელი კარადები - 45 ბავშვზე, დაწესებულებას ამ ეტაპზე საშტატო განრიგით განსაზღვრული ჰყავს 2 აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი; აღმზრდელის თანაშემწეები, აღნიშნული თანაფარდობით 1-13 (2-3 წლიანები) და 1-15 (3-6) შესაძლებელია 28 ბავშვის მიღება. ასევე საბავშვო საწოლების და მოსასვენებელი სივრცის არ ქონაც გასათვალისწინებელია. | დაწესებულებამ უზრუნველყოს საბავშვო ზომის საწოლები. ასევე კანონის შესაბამისად გაითვალისწინოს შერეული ჯგუფის სპეციფიკა და აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებს ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის საჭირო რესურსების მობილიზებით, მათ შორის აღმზრდელ-პედაგოგის/აღზრდელის ბავშვებთან თანაფარდობით - აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულების მიერ გამოთვლილი ზღვრული რაოდენობა არ შეესაბამება თვითშეფასებაში მითითებულ მოთხოვნილ რაოდენობას - 40 ბავშვი, რადგან მატერიალური რესურსები, ასევე ვერ აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა ბავშვებთან ვერ აკმაყოფილებს. | დაწესებულებამ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლისას, იხელმძღვანელოს როგორც მატერიალური რესურსის, ასევე ადამიანური რესურსის თანაფარდობით. | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2026.06 - 2028.06 24 თვე), რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებს ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის საჭირო რესურსების მობილიზებით, მათ შორის აღმზრდელ-პედაგოგის/აღზრდელის ბავშვებთან თანაფარდობით - აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივი. |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

ხარისხის ექსპერტი: 08.06.2026

## 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №2

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (ს/კ 438109477);<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება | ბრძანების N: 301587 (12.03.2026); ცვლილება ბრძანებით N 336335 (20.03.2026) |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ჩაილური<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 06.04.2026 |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორის 2026 წლის 04 თებერვლის N ბ58.5226035001 ბრძანებით დამტკიცებული "კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"<br>2. დირექტორის 2026 წლის 04 თებერვლის N ბ58.52260352 ბრძანებით დამტკიცებული სეზონური ორკვირიანი/10 დღიანი პერსპექტიული მენიუები და შესაბამისი კერძების კარტოთეკები.<br>3. სოპები: SOP-01; SOP- 02; SOP- 03;<br>4. საინვენტარიზაციო აღწერილობა (შედარებითი უწყისი);<br>5. სატენდერო დოკუმენტაცია; შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>6. საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის 2026 წლის პროექტის დანართი;<br>7. სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისობის შეფასების აქტი. 8. წერილი N 58-522614989 (29/05/2026)- დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი-თანდართული ფაილით: შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა |
| სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | √ | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | √ | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | დაწესებულებას შერჩეული აქვს სტაციონარული კვებითი უზრუნველყოფის ფორმა;<br>დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი და შესაბამისი სოპები, რომელიც არეგულირებს: ალერგიისა და სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების კვებას (სოპ-01), საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების, ასევე კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდებს და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესებს (სოპ-02), პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლს (სოპ-03).<br>კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელ წესი არ არის შესაბამისობაში სოპ-ებთან ( სოპ-02; სოპ-03). დაწესებულების სოპ-ებში სრულად არ არის გაწერილი პროცედურების შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.<br>დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ორ კვირიანი პერსპექტიული მენიუ , ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობების ცხრილი და შესაბამისი კერძების კარტოთეკა - ყველა სავალდებულო ინფორმაციის გათვალისწინებით. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს მარეგულირებელი წესი და შესაბამისი დანართები. დაწესებულებამ შემუშავებულ სოპ-ებში კონკრეტულად გაწეროს პროცედურების შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები და დაამტკიცოს დოკუმენტები ყველა სავალდებულო ინფორმაციის გათვალისწინებით. | | დაწესებულებას წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში სტანდარტთან შესაბამისობაში მოიყვანოს მარეგულირებელი წესი და შესაბამისი დანართები, სოპ-ებში განსაზღვროს პროცედურების შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტები ყველა სავალდებულო ინფორმაციის გათვალისწინებით. |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს.<br>დაწესებულებაში სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 9 საათს, რომლის განმავლობაში გათვალისწინებულია ოთხჯერადი კვება: საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი.<br>მენიუს მიხედვით, კვებებს შორის ენერგეტიკული ღირებულებები ნაწილდება შემდეგნაირად: საუზმე ≈20%; წახემსება ≈10%; სადილი ≈30%; სამხარი ≈15%.<br>პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა.<br>დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შემოდგომა-ზაფხულის და ზამთარი- | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს მენიუს დაგეგმვა იმგვარად, რომ ყველა საუზმე მოიცავდეს რძის ნაწარმს (ცვლილება განხორციელდეს ზამთარ-გაზაფხულის მენიუს II კვირის პარასკევისა და შემოდგომა-ზაფხულის მენიუს II კვირის სამშაბათის საუზმეებში).<br>სახელმწიფო ტენდერის ჩატარების დროს | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს მენიუს დაგეგმვა იმგვარად, რომ ყველა საუზმე მოიცავდეს რძის ნაწარმს (ცვლილება განხორციელდეს ზამთარ-გაზაფხულის მენიუს II კვირის პარასკევისა და შემოდგომა-ზაფხულის მენიუს II კვირის სამშაბათის საუზმეებში).<br>სახელმწიფო ტენდერის ჩატარების დროს | დაწესებულებას წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს: 12 თვის ვადაში უზრუნველყოს მენიუში ცვლილების შეტანა იმგვარად, რომ ყველა საუზმე მოიცავდეს რძის ნაწარმს. ასევე, სახელმწიფო ტენდერის ჩატარების დროს უზრუნველყოს მენიუთი გათვალისწინებული ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი რძის |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | მენიუში გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება, კერძები არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით.<br>თითქმის ყველა საუზმე მოიცავს სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმს და ხილს. მხოლოდ ზამთარ-გაზაფხულის მენიუს II კვირის პარასკევის და შემოდგომა-ზაფხულის მენიუს II კვირის სამშაბათის საუზმე არ მოიცავს რძის ნაწარმს.<br>სადილი 4-5 კომპონენტიანია და მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძს და გარნირს.<br>წახემსება დაგეგმილია ბურღულეულის, ახალი ხილის, ბოსტნეულის და რძის ნაწარმის გამოყენებით.<br>დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სატენდერო დოკუმენტაციის შესაწავლისა და ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში არ გამოიყენება დაბალი ცხიმიანობის სასმელი რძე. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაერთიანებას შესყიდული აქვს რძე- 3,2% და არაჟანი-20% ცხიმის შემცველობით, რაც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუს მიხედვით და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ რძის პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებლებს: სასმელი რძე-2,5% ცხიმის შემცველობით, არაჟანი 15% ცხიმის შემცველობით. | გათვალისწინებული ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი რძის პროდუქტებით დაწესებულებების უზრუნველყოფა.<br>რჩევა: | გათვალისწინებული ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი რძის პროდუქტებით დაწესებულებების უზრუნველყოფა.<br>რჩევა: | პროდუქტებით დაწესებულების უზრუნველყოფა. |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
